



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000065961432219

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 18

03 / აპრილი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის 2019 წლის 19 მაისის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ხალანის ადმინისტრაციულ ერთეულში, 2019 წლის 19 მაისის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტისთვის უსასყიდლოდ გამოიყოს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობა:
 - სოფელ ხალანაში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
2. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნუსით, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღემდე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

